საწარმოო პრაქტიკისა და პრაქტიკული კომპონენტის გავლის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დებულება არეგულირებს სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ (შემდგომში-„კოლეჯი“) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური და დუალური მიდგომით) პროფესიული სტუდენტის საწარმოო პრაქტიკის/პრაქტიკული კომპონენტის (შემდგომში - „პრაქტიკა“) ორგანიზების, ჩატარებისა და შეფასების პროცედურას. დებულებით განსაზღვრულია საწარმოო პრაქტიკის/პრაქტიკული კომპონენტის მიზნები, ასევე სწავლის შედეგები და კომპეტენციები, რომელსაც უნდა დაეუფლოს პროფესიული სტუდენტი საწარმოო პრაქტიკის/პრაქტიკული კომპონენტის მიმდინარეობისას.
2. საწარმოო პრაქტიკა/პრაქტიკული კომპონენტი პროფესიული განათლების ფარგლებში პროფესიულ სტუდენტების მომზადების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია. იგი შესაძლებლობას აძლევს პროფესიულ სტუდენტს რეალურ ცხოვრებაში გამოსცადოს აკადემიურ გარემოში შეძენილი კომპეტენციები, კიდევ უფრო დახვეწოს და განივითაროს პროფესიული უნარ-ჩვევები.
3. წინამდებარე წესი განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტის მიერ საწარმოო პრაქტიკისა და პრაქტიკული კომპონენტის გავლასთან დაკავშირებულ საორგანიზაციო და მეთოდურ საკითხებს.
4. პროფესიული სტუდენტები საწარმოო პრაქტიკას/პრაქტიკულ კომპონენტს გადიან კერძო ან სახელმწიფო ორგანიზაციებში, რომლებთანაც კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ან/და ურთიერთთანამშრომლობის შესახებ მემორანდუმი პრაქტიკის გავლის შესახებ.

მუხლი 2. პრაქტიკის მნიშვნელობა და მიზანი

1. პრაქტიკის მიზანია პროფესიულ სტუდენტში განავითაროს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნის კონკრეტულ სიტუაციაში გამოყენების პრაქტიკული უნარ-ჩვევები, ხელი შეუწყოს სამუშაო გარემოში მათ ადაპტაციას.
2. პრაქტიკის ორგანიზებულად წარმართვის მიზნით, სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ გადის შემდეგ ნაბიჯებს:
   ა) ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის/ხელშეკრულების გაფორმება პროფილურ საწარმოებთან/ორგანიზაციებთან;
   ბ) პროფესიული სტუდენტის პრაქტიკის წარმართვა სასწავლო გეგმისა და პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის (ჩარჩო დოკუმენტის) გათვალისწინებით;
   გ) საწარმოო პრაქტიკის/პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების პროცესში ნებისმიერი ინიციატივის მხარდაჭერა, რომელიც მიმართული იქნება პროფესიული სტუდენტის საკვანძო კომპეტენციებისა და შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე;
   დ) ადგენს პრაქტიკის ობიექტის რელევანტურობას პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

მუხლი 3. საწარმოო პრაქტიკის/პრაქტიკული კომპონენტისგანხორციელების ძირითადი პრინციპები

1. საწარმოო პრაქტიკის/პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ კოლეჯსა და პრაქტიკის ობიექტს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების საფუძველზე.
2. ორგანიზაციასთან პირადი შეთანხმების საფუძველზე, ორგანიზაციის ხელმძღვანელი და კოლეჯის პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი აწარმოებენ მოლაპარაკებას, პროფესიული სტუდენტისათვის საწარმოო პრაქტიკის/პრაქტიკული კომპონენტის გავლის უზრუნველსაყოფად შესაბამისი პირობების შექმნის მზადყოფნასთან დაკავშირებით.
3. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის მხარეები ადასტურებენ პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავების საქმეში თანამშრომლობის სურვილს და აღნიშნულის განსახორციელებლად ერთობლივი ძალისხმევით უზრუნველყოფენ კოლეჯის პროფესიული სტუდენტების საწარმოო პრაქტიკის/პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების ხელშეწყობას.
4. პრაქტიკის ობიექტის წინასწარ შერჩევა ხორციელდება საწარმოო პრაქტიკის/პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლის, სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტისა და პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის წინასწარი მოკვლევისა და ვიზუალური დათვლიერების საფუძველზე. ამასთან, პრაქტიკის ობიექტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:
   ა) უზრუნველყოფდეს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას და პროფესიული სტუდენტებისათვის ადეკვატურ და უსაფრთხო გარემოს;
   ბ) ხელს უწყობდეს პროგრამით განსაზღვრული თითოეული სწავლის შედეგის ადეკვატურ დადასტურებას შესაბამისი მტკიცებულებებით;
   გ) საჭიროებიდან გამომდინარე მონაწილეობდეს პროგრამით გათვალისწინებული საწარმოო პრაქტიკის/პრაქტიკული კომპონენტის მოდულით განსაზღვრული თითოეული სწავლის შედეგის დადასტურების შეფასების პროცესში;
   დ) დროულად აწვდიდეს ინფორმაციას კოლეჯს საწარმოო პრაქტიკის/პრაქტიკული კომპონენტის მიმდინარეობის შესახებ.
5. საწარმოო პრაქტიკის/პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას წინ უძღვის პროფესიული სტუდენტების ინფორმირება. პრაქტიკამდე, სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ აწვდის ინფორმაციას პროფესიულ სტუდენტებს თავიანთი უფლება-მოვალეობების შესახებ. კერძოდ:
   - შრომის უსაფრთხოების წესებისა და ეთიკის ნორმების შესახებ;
   - პრაქტიკის ვადებისა და კონკრეტული გრაფიკის შესახებ;
   - დღიურის წარმოების წესის შესახებ (დღიური შეიძლება იწარმოებოდეს ელექტრონულად ან/და ხელნაწერის სახით);
   - შეფასების შესახებ;
   - პრაქტიკის ობიექტებზე სავარაუდო განაწილების შესახებ;
   - პროფესიული სტუდენტებისათვის პრაქტიკის დღიურების გადაცემას;
   - უსაფრთხოების წესებზე ხელმოწერის ორგანიზებას.
6. საწარმოო პრაქტიკას/პრაქტიკული კომპონენტს ახორციელებს კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებელი პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლის უშუალო კოორდინირებით, გაფორმებული ხელშეკრულების, ამ დებულების, შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე და უზრუნველყოფს:
   - პროფესიული სტუდენტებისათვის საწარმოო პრაქტიკის/პრაქტიკული კომპონენტის შესასრულებლად საჭირო პირობების შექმნასა და გაცნობას;
   - პროფესიულ სტუდენტთა ხელმძღვანელობას და საწარმოო პრაქტიკის/პრაქტიკული კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის კონტროლს.

მუხლი 4. ბრძანების მომზადება პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკის ობიექტებზე გადანაწილების შესახებ

1. პრაქტიკული კომპონენტის ადმინისტრირებას ახორციელებს კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერი/სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი, რომელთა სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.
2. ბრძანება პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკის ობიექტებზე გადანაწილების შესახებ გამოიცემა საწარმოო პრაქტიკის/პრაქტიკული კომპონენტის დაწყებამდე მინიმუმ ერთი დღით ადრე.
3. ბრძანებაში ასახული უნდა იყოს საწარმოო პრაქტიკის/პრაქტიკული კომპონენტის დაწყების თარიღი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, ჯგუფის ნომერი და პროფესიულ სტუდენტთა სახელობითი სია.
4. საჭიროების შემთხვევაში, როდესაც გარემო ფაქტორების ან ფორსმაჟორული მდგომარეობის გათვალისწინებით ვერ ხერხდება პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკის ობიექტზე განაწილება, კოლეჯი უფლებამოსილია გადაიტანოს საწარმოო პრაქტიკა/პრაქტიკული კომპონენტი დაგეგმილი პერიოდიდან გონივრული ვადით.

მუხლი 5. პროგრამის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობანი

პროგრამის ხელმძღვანელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს საწარმოო პრაქტიკის/პრაქტიკული კომპონენტის მოდულის დაწყებამდე მოდულის განმახორციელებლის მიერ წარმოდგენილი კალენდარული გეგმის შეთანხმება სასწავლო პროცესის მენეჯერთან/სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტთან;
ბ) დაამყაროს სწორი კომუნიკაცია საწარმოს ინსტრუქტორთან/მოდულის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელთან და მიიღოს ინფორმაცია პროფესიულ სტუდენტთა მოსწრების შესახებ;
გ) კონტროლი გაუწიოს პროფესიული სტუდენტების პრაქტიკის დანიშნულების ადგილზე დროულად გამოცხადებას და პრაქტიკის ვადების დაცვას;
დ) მოდულის დასრულების შემდეგ უზრუნველყოს მტკიცებულებების შეგროვებას და წარდგენა მენეჯერთან/სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტთან.

მუხლი 6. სასწავლო საწარმოს მხრიდან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი პრაქტიკის ინსტრუქტორის უფლება-მოვალეობანი

1. პრაქტიკის ინსტრუქტორისა და გამოყოფის ვალდებულება რეგულირდება საწარმოსა და კოლეჯს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.
2. პრაქტიკის ინსტრუქტორის ვალდებულია:
ა) გააცნოს პროფესიულ სტუდენტებს პრაქტიკული კომპონენტის გავლისთვის საჭირო პირობები და უზრუნველყოს პრაქტიკის პერიოდში შესასრულებული ამოცანების განმარტება;
ბ) გაუწიოს პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისას ზედამხედველობა პროფესიულ სტუდენტებს;
გ) ყოველკვირეულად შეამოწმოს პროფესული სტუდენტის მიერ წარმოებული დღიური, პრაქტიკული კომპონენტის მიმდინარეობის შესახებ;
დ) მიაწოდოს ინფორმაცია მოდულის განმახორციელებელს პროფესიულ სტუდენტთა მოსწრების შესახებ;
ე) მიიღოს მონაწილეობა პროფესიულ სტუდენტთა თითოეული სწავლის შედეგის დადასტურების შეფასების პროცესში;
ვ) საჭიროების შემთხვევაში პრაქტიკული კომპონენტის დასრულების შემდეგ მისცეს პროფესიულ სტუდენტს დახასიათება მის მიერ შესრულებული პრაქტიკული სამუშაოს ხარისხის შესახებ.

მუხლი 7. პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობანი

1. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისას პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს:
ა) პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტი გაიაროს რეალურ სამუშაო გარემოში;
ბ) მოითხოვოს ადეკვატური და უსაფრთხო გარემო;
გ) მიიღოს კონსულტაციები მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლისა და/ან პრაქტიკის ინტრუქტორისგან პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების თავისებურებების შესახებ;
2. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისას პროფესიული ტუდენტი ვალდებულია:
ა) დაიცვას სამუშაოს უსაფრთხოებისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
ბ) დაიცვას პრაქტიკის ობიექტის სამუშაო რეჟიმი;
გ) დროულად, ზუსტად და სრულად შეასრულოს მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლის/პრაქტიკის ინსტრუქტორის მიერ გაცემული დავალებები;
დ) საჭიროების შემთხვევაში აწარმოოს პრაქტიკის დღიური;
ე) დაადასტუროს მოდულით გათვალისწინებული თითოეული სწავლის შედეგი;
ვ) პრაქტიკის დამთავრების შემდეგ დროულად წარუდგინოს მოდულის განმახორციელებელს დასრულებული და სათანადო სახით გაფორმებული დღიური.

მუხლი 8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული კომპონენტის შეფასება

1. მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი და პრაქტიკის ინსტრუქტორი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) როგორც შემფასებლები შეფასების პროცესში:
ა) პირადად აკვირდებიან პროფესიული სტუდენტის მიერ პრაქტიკული დავალებების შესრულების პროცესს;
ბ) თითოეული შესაფასებელი პირისთვის აწარმოებენ შეფასების ინსტურმენტს/შეფასების ჩანაწერებს;
გ) საჭიროების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უსვამენ დამატებით შეკითხვებს შესასრულებელ დავალებასთან დაკავშირებით;
დ) აფასებენ პროფესიულ სტუდენტს თითოეული სწავლის შედეგის და შესრულების კრიტერიუმების მიხედვით.
2. შეფასების დასრულების შემდეგ შემფასებლები:
ა) პროფესიულ სტუდენტს აძლევენ განმარტებას შეფასებასთან დაკავშირებით;
ბ) აჯამებენ შეფასების შედეგებს;
გ) ადასტურებენ შეფასების შედეგებს ხელმოწერით.
3. მოდულის განმახორციელებელი პირ(ებ)ი შეფასების დასრულების შემდეგ აწარმოებენ შეფასების უწყისებს.
4. შეფასების ჩანაწერებს გადასცემენ პროგრამის ხელმძღვანელს, რომელიც თავის მხრივ ვალდებულია უზრუნველყოს შეფასების ჩანაწერების სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტისათვის გადაცემა.

მუხლი 9. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (შემდგომში - სსსმ) პროფესიული სტუდენტების საწარმოო პრაქტიკის/პრაქტიკული კომპონენტის ორგანიზება

1. სსსმ პროფესიული სტუდენტების პრაქტიკის ობიექტზე განაწილება ხორციელდება კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერის/სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტისა და ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის აქტიური ჩართულობით;
2. პრაქტიკამდე ერთი თვით ადრე მიზანშეწონილია განხორციელდეს პრაქტიკის ობიექტის სასწავლო გარემოს შეფასება.

მუხლი 10. პრაქტიკის დღიურის შეფასება

1. პრაქტიკის დღიურს პროფესიული სტუდენტი აწარმოებს ყოველკვირეულად (საჭიროების შემთხვევაში), ხოლო მის შეფასებას ახდენს მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი/პრაქტიკის ინსტრუქტორი.
2. პროფესიული განათლების მასწავლებელი/პრაქტიკის ინსტრუქტორი პრაქტიკის დღიურის წარმოებას აფასებს პრაქტიკის კვირეული დატვირთვისა და პროფესიული სტუდენტის მიერ პრაქტიკის პროცესში განხორციელებული საქმიანობის ანალიზის მიხედვით.
3. პროფესიული განათლების მასწავლებელი/პრაქტიკის ინსტრუქტორი აწვდის ინფორმაციას სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალიასტ პროფესიული სტუდენტის მიერ დღიურის წარმოებისა და პრაქტიკის პროცესში განხორციელებული საქმიანობის შესახებ.
4. საწარმოო პრაქტიკის დღიური ითვალისწინებს პროგრამით გათვალისწინებული აქტივობების კალენდარული გეგმის წარმოებას, პრაქტიკის ობიექტზე პროფესიული სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაოების დეტალურ აღწერას და აგრეთვე კომპეტენციების განვითარებას.
5. პრაქტიკის დღიური დამოწმებულია კოლეჯის დირექტორის ხელმოწერითა და ბეჭდით. რიგ შემთხვევაში შესაძლოა დამოწმებული იყოს პრაქტიკის ობიექტის ხელმძღვანელის ხელმოწერითა და ბეჭდით.